ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება

Deutsche Wohnen

(C-807/21)

წინასწარი განჩინების მისაღებად ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის მიმართვის მიზანია ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) 83-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების ინტერპრეტაცია, რომლის საჭიროებაც წარმოიშვა “Deutsche Wohnen”-სა (“DW”) (უძრავი ქონების კომპანია) და ბერლინის პროკურატურას (“Staatsanwaltschaft Berlin”) შორის არსებული სამართალწარმოების ფარგლებში. აღნიშნული საქმე უკავშირდება “GDPR”-ის 83-ე მუხლის შესაბამისად “Deutsche Wohnen”-ისთვის ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრებას რეგულაციის მე-5(1)(a)(c), მე-6 და 25(1)-ე მუხლების დარღვევის გამო.

სამართლებრივი კონტექსტი

ევროკავშირის კანონმდებლობა

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ პრეამბულის მე-9, მე-10, მე-11, მე-13, 74-ე, 129-ე და 150-ე პუნქტების თანახმად:

> „(9) … პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების, კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების, განსხვავებულმა ხარისხმა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში შესაძლოა, ხელი შეუშალოს პერსონალური მონაცემების თავისუფლად მიმოცვლას ევროკავშირის ტერიტორიაზე. ამგვარად, ამ განსხვავებებმა შესაძლოა, შეაფერხოს ეკონომიკური საქმიანობა ევროკავშირის მასშტაბით, დააბრკოლოს კონკურენცია და ხელი შეუშალოს სახელმწიფო უწყებებს ევროკავშირის სამართლით გათვალისწინებული თავისი უფლებამოსილების განხორციელებაში.
>
> (10) ფიზიკური პირების თანმიმდევრული და მაღალი ხარისხის დაცვისა და ევროკავშირის ტერიტორიაზე პერსონალური მონაცემების დაუბრკოლებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მონაცემების დამუშავებასთან მიმართებით ყველა წევრ სახელმწიფოში თანაბრად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. ფიზიკური პირების მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად არსებული ნორმები თანმიმდევრულად

და ერთგვაროვნად უნდა იქნეს გამოყენებული ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში. რაც შეეხება პერსონალური მონაცემების დამუშავებას კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით, საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანის შესასრულებლად ან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, წევრ სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ შეინარჩუნონ ან შემოიღონ ადგილობრივი კანონმდებლობის ნორმები, რათა დეტალურად განსაზღვრონ ამ რეგულაციის გამოყენების წესები. 95/46/EC დირექტივის შესასრულებლად არსებულ ზოგად და სპეციფიკურ კანონმდებლობასთან ერთად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს აქვთ სექტორული რეგულაციები იმ სფეროებში, რომლებიც მოითხოვს დეტალურ რეგულირებას. ეს რეგულაცია წევრ სახელმწიფოებს აძლევს მანევრირების საშუალებას, რათა მათ განსაზღვრონ წესები, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების („სენსიტიური მონაცემები“) შესახებ. ამგვარად, ეს რეგულაცია არ გამორიცხავს წევრი სახელმწიფოების იმგვარი კანონმდებლობის არსებობას, რომელიც ადგენს კონკრეტული დამუშავების გარემოებებს, მათ შორის, განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონიერია.

(11) ევროკავშირის ტერიტორიაზე პერსონალური მონაცემების ეფექტური დაცვა საჭიროებს მონაცემთა სუბიექტების უფლებების გაფართოებასა და დეტალურ ჩამოყალიბებას, იმ პირთა ვალდებულებების დადგენას, რომლებიც ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს და განსაზღვრავენ მათი დამუშავების საშუალებებს, ასევე – მონიტორინგთან დაკავშირებული სათანადო უფლებამოსილებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესების დარღვევისთვის შესაბამისი სანქციების დადგენას წევრ სახელმწიფოებში.

(13) იმისათვის, რომ ევროკავშირის ტერიტორიაზე ფიზიკური პირები სათანადოდ იყვნენ დაცულები და შიდა ბაზარზე არ შეიზღუდოს პერსონალური მონაცემების თავისუფალი მიმოცვლა, საჭიროა, რეგულაციით უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიკური ოპერატორებისთვის, მათ შორის, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის სამართლებრივი სიზუსტე და გამჭვირვალობა. ასევე, ფიზიკურ პირებს ჰქონდეთ უფლებების თანაბრად განხორციელების შესაძლებლობა, ხოლო დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს დაკისრებული ჰქონდეთ შესაბამისი პასუხისმგებლობები. აღნიშნულის მიზანია: პერსონალური მონაცემების დამუშავების სათანადო

მონიტორინგი; ყველა წევრ სახელმწიფოზე შესაბამისი სანქციის დაწესება; სხვადასხვა ქვეყნის საზედამხედველო ორგანოებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის ხელშეწყობა.

(74) უნდა განისაზღვროს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულება და პასუხისმგებლობა პერსონალური მონაცემების ნებისმიერი დამუშავებისას, რომელსაც ახორციელებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან მის მიერ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი. კერძოდ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი უნდა იყოს ვალდებული, რომ განახორციელოს სათანადო და ეფექტური ღონისძიებები. მას უნდა შეეძლოს ამ რეგულაციასთან დამუშავების ოპერაციების შესაბამისობის დემონსტრირება, მათ შორის, განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტურობის ჩვენება. ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს დამუშავების ხასიათს, მოცულობას, კონტექსტსა და მიზნებს და ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის რისკებს.

(129) ევროკავშირის მასშტაბით ამ რეგულაციის თანმიმდევრული მონიტორინგისა და აღსრულებისთვის საზედამხედველო ორგანოებს თითოეულ წევრ სახელმწიფოში უნდა ჰქონდეს ერთნაირი ფუნქციები და ეფექტური უფლებამოსილება, მათ შორის გამოძიების, გამოსწორებისა და სანქციების დაწესებისა. კერძოდ, ამ რეგულაციის შესრულების უზრუნველსაყოფად თითოეული ზომა უნდა იყოს სათანადო, აუცილებელი და პროპორციული და ითვალისწინებდეს თითოეული ინდივიდუალური საქმის გარემოებებს, პატივს სცემდეს თითოეული პიროვნების უფლებას, წარადგინოს საკუთარი აზრი კონკრეტულ ღონისძიებასთან მიმართებით, რომელმაც შესაძლოა, მასზე უარყოფითი გავლენა იქონიოს და შესაბამის პირებს უნდა არიდებდეს გადაჭარბებულ ხარჯებსა და ბარიერებს. შენობაში წვდომასთან დაკავშირებული საგამოძიებო უფლებამოსილება უნდა იქნეს გამოყენებული წევრი სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნების, კერძოდ, სასამართლოს წინასწარი ნებართვის საფუძველზე. საზედამხედველო ორგანოს თითოეული სავალდებულო ძალის მქონე ღონისძიება უნდა გაფორმდეს წერილობით, უნდა იყოს გასაგები და ცალსახა, უნდა უთითებდეს საზედამხედველო ორგანოს, რომელმაც გაატარა ეს ღონისძიება, იყოს ხელმოწერილი ხელმძღვანელის ან საზედამხედველო ორგანოს წევრის მიერ, რომელიც ხელმძღვანელის მხრიდან სათანადოდ უფლებამოსილია. ასევე, უნდა განმარტავდეს ღონისძიების გატარების მიზეზებს და უთითებდეს დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტურ

გზებზე. ამ ჩამონათვალით არ უნდა შეიზღუდოს წევრი სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობით დაწესებული დამატებითი მოთხოვნები.

(150) ამ რეგულაციის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამკაცრებისა და ჰარმონიზაციის მიზნით, თითოეულ საზედამხედველო ორგანოს უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული ჯარიმების დაკისრების უფლება. რეგულაციით უნდა მიეთითოს დარღვევები, ადმინისტრაციული ჯარიმების ზედა ზღვარი და ჯარიმის შეფარდების კრიტერიუმები. თითოეულ შემთხვევაში კომპეტენტურმა საზედამხედველო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული გარემოებები, დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა, ასევე – შედეგები და ამ რეგულაციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად და დარღვევით გამოწვეული შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამსუბუქებლად მიღებული ზომები. საწარმოსთვის ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში „საწარმო“ განიმარტება TFEU-ს 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად.

“GDPR”-ის მე-4 მუხლის თანახმად:

(7) „დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი“ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, საჯარო უწყებას, დაწესებულებას ან სხვა ორგანოს, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს; იმ შემთხვევებში, როცა ამგვარი დამუშავების მიზნები და საშუალებები დადგენილია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან მისი დანიშვნის კონკრეტული კრიტერიუმები შეიძლება დადგინდეს ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით;

(8) „დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი“ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, საჯარო უწყებას, დაწესებულებას ან სხვა უწყებას, რომელიც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელით;

(18) „საწარმო“ ნიშნავს ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მიუხედავად სამართლებრივი ფორმისა, მათ შორის, პარტნიორულ გაერთიანებებს ან ასოციაციებს, რომლებიც რეგულარულად არიან ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში.

“GDPR”-ის 58-ე მუხლის („უფლებამოსილებები“) მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად:

2. თითოეულ საზედამხედველო ორგანოს აქვს დარღვევის გამოსასწორებლად შემდეგი ღონისძიებების გატარების უფლებამოსილება:

(a) გააფრთხილოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, რომ დაგეგმილი მონაცემთა დამუშავება სავარაუდოდ გამოიწვევს რეგულაციის დებულებების დარღვევას;

(b) გამოუცხადოს საყვედური დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს რეგულაციის დებულებების დარღვევისათვის;

(d) მოსთხოვოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს დამუშავების პროცესის რეგულაციასთან შესაბამისობაში მოყვანა, საჭიროების შემთხვევაში სათანადო ფორმითა და შესაბამისი ვადის დაწესებით;

(f) დააწესოს დროებითი ან განსაზღვრული შეზღუდვა ან აკრძალვა მონაცემთა დამუშავებაზე;

(i) 83-ე მუხლის შესაბამისად, თითოეული საქმის გარემოების გათვალისწინებით, დააკისროს ადმინისტრაციული ჯარიმა დამატებით ან ამ მუხლში ჩამოთვლილი ღონისძიებების სანაცვლოდ.

4. ამ მუხლის მიხედვით, საზედამხედველო ორგანოზე დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელება უნდა მოხდეს უსაფრთხოების სათანადო გარანტიებით, მათ შორის, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს მიერ ამ წესდების შესაბამისად, სასამართლოსადმი ეფექტური მიმართვის უფლების და სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფის გზით.

“GDPR”-ის 83-ე მუხლის („ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების ზოგადი წესები“) გათვალისწინებით:

1. თითოეული საზედამხედველო ორგანო უზრუნველყოფს, რომ ამ მუხლის საფუძველზე რეგულაციის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლებით დადგენილი დარღვევისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმა ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე.
2. თითოეული ინდივიდუალური შემთხვევიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ჯარიმები უნდა დაეკისროს 58-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“-დან „თ“-მდე და „კ“ ქვეპუნქტებით დადგენილ ზომებთან ერთად ან მათ ნაცვლად. თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების ან მისი ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები:

(a) დარღვევის სახე, სიმძიმე და ხანგრძლივობა, დამუშავების მიზნისა და მოცულობის გათვალისწინებით ისევე, როგორც დაზარალებული მონაცემთა სუბიექტების რაოდენობა და მათ მიერ განცდილი ზიანი;
(b) დარღვევის განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენის ფაქტორი;
(c) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების მიერ მიღებული ზომები მონაცემთა სუბიექტისათვის მიყენებული ზიანის შესამცირებლად;
(d) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობის ფარგლები მათ მიერ 25-ე და 32-ე მუხლის შესაბამისად, უსაფრთხოებისთვის მიღებული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების გათვალისწინებით;
(e) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ჩადენილი მსგავსი დარღვევები;
(f) დარღვეული უფლების აღდგენისა და დარღვევის შედეგად შესაძლო ზიანის შემცირების მიზნით საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ხარისხი;
(g) მონაცემთა კატეგორიები, რომლებსაც შეეხება დარღვევა;
(h) დარღვევის შესახებ საზედამხედველო ორგანოს ინფორმირების ფორმა, კერძოდ, მიაწოდა თუ არა საზედამხედველო ორგანოს ინფორმაცია თავად დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ან დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა და რა მოცულობით;
(i) იქნა თუ არა გამოყენებული დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიმართ მსგავს საკითხზე 58-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება, მასთან შესაბამისობა;
(j) მე-40 მუხლით გათვალისწინებული ეთიკის კოდექსის მოთხოვნების ან 42-ე მუხლით დადგენილი სერტიფიცირების მექანიზმების დაცვა; და
(k) თითოეული საქმის შესაბამისად, ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი ფაქტორი, როგორიცაა დარღვევის შედეგად პირდაპირი ან არაპირდაპირ მიღებული ფინანსური მოგება ან ზიანი.

3. იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი განზრახ ან გაუფრთხილებლობით მონაცემთა ერთჯერადი დამუშავებით ან მასთან დაკავშირებული დამუშავების შემთხვევაში დაარღვევს ამ რეგულაციის რამდენიმე დებულებას,

ადმინისტრაციული ჯარიმის სრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ყველაზე მძიმე დარღვევისთვის გათვალისწინებულ ოდენობას.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, რეგულაციის მე-8, მე-11, 25-39 (დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულებები), 41 მუხლის მე-4 პუნქტის (საზედამხედველო ორგანოს ვალდებულებები), 42-ე, 43-ე მუხლების დარღვევისთვის (დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის და მასერტიფიცირებელი ორგანოს ვალდებულებები) ადმინისტრაციული ჯარიმა შეადგენს 10 000 000 ევრომდე, ან საწარმოს შემთხვევაში – გასული ფინანსური წლის მთლიანი წლიური ბრუნვის 2%-მდე (გამოიყენება სანქცია, რომელიც უფრო მაღალია).
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, ამ რეგულაციით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების ძირითადი პრინციპების, მათ შორის, მე-5, მე-6, მე-7 და მე-9 მუხლით დადგენილი თანხმობის პირობების, მე-12 მუხლიდან 22-3 მუხლამდე დადგენილი მონაცემთა სუბიექტის უფლებების, 44-ე მუხლიდან 49-ე მუხლამდე მესამე ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში პერსონალური მონაცემების გადაცემის წესების, IX თავის შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების კანონით დადგენილი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის, 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნის ან მის მიერ მონაცემთა დამუშავების დროებითი ან სამუდამო აკრძალვის ან მონაცემთა მიმოცვლის შეჩერების მოთხოვნის შეუსრულებლობა ან 58 (3) მუხლის პირველი პუნქტის დარღვევით ხელმისაწვდომობის ვერ უზრუნველყოფისთვის ადმინისტრაციული ჯარიმა შეადგენს 20 000 000 ევრომდე, ან საწარმოს შემთხვევაში – გასული ფინანსური წლის მთლიანი წლიური ბრუნვის 4%-მდე (გამოიყენება სანქცია, რომელიც უფრო მაღალია).
6. ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რეგულაციის 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნის/გადაწყვეტილების შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ ჯარიმას 20 000 000 ევრომდე, ან საწარმოს შემთხვევაში – გასული ფინანსური წლის მთლიანი წლიური ბრუნვის 4%-მდე (გამოიყენება სანქცია, რომელიც უფრო მაღალია).
7. 58-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საზედამხედველო ორგანოს გამასწორებელი უფლებამოსილების შეზღუდვის გარეშე, თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს წესები წევრ სახელმწიფოში საჯარო დაწესებულებებისა და უწყებებისთვის ჯარიმის დაკისრებასთან და ჯარიმის ოდენობასთან დაკავშირებით.

8. ევროკავშირის და წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ მუხლით დადგენილი საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილება ექვემდებარება სათანადო საპროცესო გარანტიებს, მათ შორის, სასამართლოსადმი ეფექტური მიმართვის უფლებას და სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფას.

გერმანიის კანონმდებლობა

2017 წლის 30 ივნისის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ გერმანიის ფედერალური კანონის (“Federal Law on data protection”) 41-ე პარაგრაფის პირველი პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვაგვარად არ არის რეგულირებული, “GDPR”-ის 83-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების დარღვევისას „ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ“ კანონის (“Law on administrative offences”, “OwiG”) დებულებები გამოიყენება.

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ“ კანონის 30-ე პარაგრაფის („ჯარიმები იურიდიული პირებისა და პირთა გაერთიანებების მიმართ“) თანახმად:

(1) როდესაც პირი მოქმედებს, როგორც:
1. ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, წარმოადგინოს იურიდიული პირი ან როგორც ამ ორგანოს წევრი;
2. გაერთიანების თავმჯდომარე, რომელსაც არ აქვს იურიდიული უფლებამოსილება ან მოქმედებს, როგორც აღმასრულებელი საბჭოს წევრი;
3. პირი, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივი უფლებამოსილების მქონე პარტნიორობას;
4. მინდობილობის მფლობელი ან მენეჯერული ფუნქციის განმახორციელებელი პირი, რომელსაც გააჩნია გენერალური სავაჭრო მინდობილობა, ან იურიდიული პირის ან პირთა გაერთიანების ფარგლებში კონკრეტული ტრანზაქციების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი;
5. პირი, რომელიც სხვაგვარად პასუხისმგებელია ბიზნესისა თუ ორგანიზაციის მართვაზე, მათ შორის, შესაბამისი ოპერაციების განხორციელებაზე და ჩაიდენს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას (მაგალითად, გამდიდრდება ან ექნება გამდიდრების განზრახვა), დაეკისრება ჯარიმა.

(4) თუ სისხლის სამართლის საქმისწარმოების ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში ჯარიმის დაწესება არ არის ინიცირებული, ან თუ

აღნიშნული სამართალწარმოება შეწყდა, ან თუ სასჯელი არ არის დადგენილი, ჯარიმა შეიძლება განისაზღვროს დამოუკიდებლად. თუმცა ჯარიმა დამოუკიდებლად ვერ განისაზღვრება იურიდიულ პირთან ან პირთა გაერთიანებასთან მიმართებით, როდესაც სისხლისსამართლებრივი თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ შეიძლება რაიმე სამართლებრივი მიზეზით იყოს დასჯადი.

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ“ კანონის 130-ე პარაგრაფის გათვალისწინებით:

1. პირი, რომელიც, როგორც ბიზნესის ან საწარმოს მფლობელი, განზრახ ან გაუფრთხილებლობით ვერ უზრუნველყოფს აუცილებელი სათანადო საზედამხედველო ზომების მიღებას ვალდებულებების დარღვევის თვალსაზრისით და აღნიშნული ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ სასჯელს ან ჯარიმას, შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

(2) თუ ვალდებულებების დარღვევა დასჯადია სისხლისსამართლებრივად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას მილიონამდე ევროს ოდენობით. აღნიშნულ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს 30-ე პარაგრაფის მე-2 პუნქტის მოთხოვნები. თუკი საზედამხედველო ვალდებულებების დარღვევით გათვალისწინებულია ჯარიმა, ამ დარღვევისთვის უნდა დაწესდეს ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა.

ძირითადი სამართალწარმოების სადავო საკითხები და წინასწარი განჩინების გამოსატანად დასმული კითხვები

“Deutsche Wohnen” (“DW”) არის უძრავი ქონების კომპანია, რომელიც შექმნილია ევროპული კომპანიის სამართლებრივი ფორმით და მისი ოფისი რეგისტრირებულია ბერლინში (გერმანია). აღნიშნული კომპანია ფლობს დაახლოებით 163 000 საცხოვრებელ და 3 000 კომერციულ ერთეულს, რომლებიც მიიჩნევა “DW“-ის შვილობილ კომპანიებად (“Holding companies“). ისინი უზრუნველყოფენ ბიზნესის ტექნიკურ საკითხებზე მუშაობას, ხოლო “DW“ ახორციელებს ცენტრალურ მმართველობას. შვილობილი კომპანიები იმართება „მომსახურების კომპანიების“ (“Service companies”) მიერ.

ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში, “DW” და მის დაქვემდებარებაში არსებული კომპანიები ამუშავებენ კომერციული და საცხოვრებელი ერთეულების მოიჯარეთა

პერსონალურ ინფორმაციებს, როგორებიცაა: ვინაობა; გადასახადი; სოციალური დაცვა; ჯანმრთელობის დაზღვევა და ა.შ.

2017 წლის 23 ივნისს ბერლინის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ინსპექტირების ფარგლებში ინფორმაცია მიაწოდა "DW"-ს, რომ მისი შვილობილი კომპანიები ინახავდნენ მოიჯარეთა პერსონალურ ინფორმაციას ელექტრონულ ფაილურ სისტემაში. საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, ბუნდოვანი იყო მითითებული მონაცემების შენახვის აუცილებლობა და ასევე – არასაჭირო მონაცემების წაშლის სათანადო ზომების არსებობა. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანომ "DW"-ს მოსთხოვა ელექტრონული ფაილური სისტემიდან ზემოაღნიშნული პერსონალური მონაცემების წაშლა 2017 წლის ბოლომდე. მოთხოვნის პასუხად, "DW"-მ განაცხადა, რომ, ტექნიკური და სამართლებრივი მიზეზების გათვალისწინებით, მონაცემების წაშლა შეუძლებელი იყო. ასევე, იგეგმებოდა მონაცემების შენახვის სისტემის ახლით ჩანაცვლება.

2019 წლის 5 მარტს საზედამხედველო ორგანომ განახორციელა "DW"-ის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მთავარი ოფისის ინსპექტირება, რომლის ფარგლებში "DW"-ის მიერ აღინიშნა, რომ ძველი ელექტრონული ფაილური სისტემა გაუქმდა და იგეგმებოდა არსებული მონაცემების შენახვის ახალ სისტემაში გადაცემა.

2019 წლის 30 ოქტომბერს, საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებით, "DW"-ს, „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის" მე-5(1)(a)(c)(e) და 25(1)-ე მუხლების განზრახ დარღვევის გამო, დაეკისრა ადმინისტრაციული ჯარიმა 14 385 000 ევროს ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილების ფარგლებში "DW"-ს ასევე დაეკისრა 15 სხვა ჯარიმა (3 000-იდან 17 000-ამდე ევროს ფარგლებში) "GDPR"-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევისთვის.

უფრო კონკრეტულად, საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ "DW"-მა, 2018 წლის 25 მაისიდან 2019 წლის 5 მარტის ჩათვლით, შეგნებულად არ მიიღო სათანადო ზომები მოიჯარეთა პერსონალური მონაცემების რეგულარულად წაშლის უზრუნველსაყოფად, როდესაც ამგვარი მონაცემების შენახვის საჭიროება აღარ არსებობდა.

"DW"-მა საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება ბერლინის სამხარეო სასამართლოში (Regional Court, Berlin, Germany) გაასაჩივრა. სასამართლომ შესაბამისი ზომების მიღების გარეშე დაასრულა სამართალწარმოება და დაადგინა, რომ საზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში არსებობდა არაერთი ნაკლოვანება, რაც ვერ იქნებოდა ჯარიმის დაკისრების საფუძველი.

სასამართლოს შეფასებით, იურიდიულ პირზე ჯარიმის დაკისრების საკითხები ამომწურავადაა დარეგულირებული „ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ“ კანონის 30-ე პარაგრაფით, რომელიც, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ გერმანიის ფედერალური კანონის 41-ე პარაგრაფის პირველი პუნქტის შესაბამისად, გამოიყენება “GDPR”-ის 83-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების დარღვევისას. „ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ“ კანონის 30-ე პარაგრაფის თანახმად, პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ფიზიკურ და არა იურიდიულ პირს. დამატებით, იურიდიული პირის ან ორგანიზაციის წარმომადგენელთა ქმედებებისთვის შეიძლება პასუხი აგოს იურიდიულმა პირმა. თუმცა, 30-ე პარაგრაფის მე-4 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადმინისტრაციული ჯარიმა ეკისრება იურიდიულ პირს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენია იურიდიული პირის წარმომადგენელი.

ბერლინის პროკურატურამ (“Berlin Public Prosecutor’s Office”) პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ზემდგომ სასამართლოში (“Higher Regional Court”), რომელმაც, თავის მხრივ, მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს.

ზემდგომ სასამართლოს უპირველესად აინტერესებდა “GDPR”-ის 83-ე მუხლის შესაბამისად შესაძლებელია თუ არა ჯარიმა დაეკისროს იურიდიულ პირს ისე, რომ არ გამოვლინდეს კონკრეტული სამართალდამრღვევი პირი. ასევე, სასამართლოს აინტერესებდა „საწარმოს“ მნიშვნელობა „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების“ (“TFEU”) 101-ე და 102-ე მუხლებზე დაყრდნობით.

ზემდგომი სასამართლოს განმარტებით, ეროვნული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, იურიდიული პირების შეზღუდული პასუხისმგებლობის საკითხი, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ეწინააღმდეგება საწარმოს პირდაპირ პასუხისმგებლობას, რომელსაც ითვალისწინებს “GDPR”-ის 83-ე მუხლი. სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ცალსახაა, რომ “GDPR”-ის 83-ე მუხლით შესაძლებელია ადმინისტრაციული ჯარიმების დაწესება საწარმოებისთვის. ამდენად, ჯარიმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული კომპანიის წარმომადგენელთა მითითების გარეშე. აღნიშნული განმარტება ეწინააღმდეგება გამოსაყენებელ ეროვნულ კანონმდებლობას.

ეროვნულ სასამართლოს ასევე აინტერესებდა, თუ რამდენად შეიძლება ჯარიმა დაკისრებოდა პირდაპირ იურიდიულ პირს. ამავდროულად, წარმოიშვა კითხვა “GDPR”-ის დარღვევისთვის იურიდიული პირზე ისევე, როგორც საწარმოზე, რა კრიტერიუმები უნდა იქნეს გასათვალისწინებელი პასუხისმგებლობის დაკისრებისას.

წარმოდგენილი გარემოებების გათვალისწინებით, ზემდგომმა სასამართლომ გადაწყვიტა სამართალწარმოების შეჩერება და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ("CJEU") წინასწარი განჩინების გამოსატანად მიმართა შემდეგი კითხვებით:

(1) შეიძლება თუ არა "GDPR"-ის 83-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების განმარტება იმგვარად, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში, "TFEU"-ს 101-ე და 102-ე მუხლების მსგავსად, აისახოს საწარმოს ცნება და ეკონომიკური ერთეულის პრინციპი, რომლის შედეგად, „ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ" კანონის 30-ე პარაგრაფის შესაბამისად, იურიდიული პირის ცნების ფართო განმარტებით ჯარიმა პირდაპირ დაეკისრება საწარმოს, კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირის იდენტიფიცირების საჭიროების გარეშე;

(2) პირველ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში: შეიძლება თუ არა "GDPR"-ის 83-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების ინტერპრეტირება იმ მნიშვნელობით, რომ საწარმომ განზრახ ან გაუფრთხილებლობით უნდა დაარღვიოს ვალდებულება დასაქმებული პირის მეშვეობით; თუ მხოლოდ ფაქტი, რომ დარღვევის ჩადენას ჰქონდა ადგილი, საკმარისია საწარმოზე ჯარიმის დასაკისრებლად („მკაცრი პასუხისმგებლობა").

წერილობითი პროცედურის განახლების მოთხოვნა

2023 წლის 17 იანვრის მოსმენის შემდგომ, "DW"-მა, 2023 წლის 23 მარტს წარდგენილი დოკუმენტით, რეგლამენტის 83-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს სამართალწარმოების ზეპირი მოსმენის განახლება სთხოვა. "DW" აცხადებდა, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ "CJEU"-ს რეგლამენტის 101-ე მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაცია მიეწოდა. ასევე, დავობდა, რომ საქმის განხილვამდე (2023 წლის 17 იანვარი) 3 დღით ადრე მიიღო ინფორმაცია, რის გამოც მოსამზადებლად საკმარისი დრო არ ჰქონდა.

რეგლამენტის 83-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია გენერალური ადვოკატის მოსმენის შემდგომ მოითხოვოს სამართალწარმოების ზეპირი ნაწილის განახლება, განსაკუთრებით მაშინ, თუ მიიჩნევს, რომ არ ფლობს საკმარის ინფორმაციას, ან თუ ზეპირი ნაწილის დახურვის შემდეგ გამოვლინდა ახალი გარემოება, რაც სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს, ან როდესაც საქმე უნდა გადაწყდეს დებატების საფუძველზე, რომლებიც არ გამართულა დაინტერესებულ პირთა შორის.

თუმცა მოცემულ საქმეში სასამართლოს გააჩნია ყველა საჭირო ინფორმაცია განჩინების მისაღებად. შესაბამისად, მიიჩნევს, რომ გენერალური ადვოკატის მოსმენის შემდეგ არ იკვეთება სამართალწარმოების ზეპირი ნაწილის განახლების აუცილებლობა.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განხილული საკითხები

პირველი საკითხი

პირდაპირი სანქციები იურიდიული პირების მისამართით - ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ "GDPR"-ის საფუძველზე შესაძლოა დაჯარიმდეს უშუალოდ იურიდიული პირი, თუ ამ იურიდიულ პირს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სტატუსი აქვს. კანონდარღვევის ჩამდენი ფიზიკური პირის იდენტიფიცირება სავალდებულო არ არის[1].

პირველი საკითხი, რომელზეც სასამართლომ იმსჯელა, ეხება ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის" 58(2) და 83(1)-83(6) მუხლების ინტერპრეტაციას, კერძოდ, გამორიცხავს თუ არა მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის ზემოთ აღნიშნული მუხლები ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრებას.

კანონის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შედეგად შესაძლოა პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი განსხვავებულად გადაწყდეს. კონკრეტულად, კანონის ერთ-ერთი ინტერპრეტაციის საფუძველზე იურიდიულ პირს შესაძლოა დაეკისროს ადმინისტრაციული ჯარიმა, როგორც მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირს "GDPR"-ის 83(1)-83(6) მუხლებით გათვალისწინებული კანონდარღვევისათვის მხოლოდ მაშინ, თუ იურიდიული პირის კანონდარღვევისათვის დაჯარიმებამდე დამტკიცდება, რომ კანონი იდენტიფიცირებადმა ფიზიკურმა პირმა დაარღვია.

გადაწყვეტილება წევრი ქვეყნიდან: ბერლინის სამხარეო სასამართლომ 2021 წელს გადაწყვიტა, რომ ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე ("OwiG", პარაგრაფი 30 და 130) კომპანიას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მენეჯერის ან დირექტორის ბრალეულობის დამტკიცების გარეშე.

[1] იგულისხმება "GDPR"-ის მეოთხე მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმები მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან მიმართებით.

ამ საკითხზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ პრინციპები, აკრძალვები და ვალდებულებები, რომლებსაც „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“ წარმოშობს, ეხება მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს[2] იმ დამუშავების ოპერაციებისათვის, რომლებსაც ახორციელებენ თავად ან სხვა პირი - მათთვის.

მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირები ვალდებული არიან არა მხოლოდ ადეკვატური და ეფექტური უსაფრთხოების ზომები გაატარონ, არამედ დაადასტურონ წინამდებარე ზომების შესაბამისობა „მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციასთან“. ეს პასუხისმგებლობა 83(1)-83(6) მუხლების დარღვევის შემთხვევაში გამოიწვევს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის “GDPR”-ის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დაჯარიმებას.

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მეოთხე მუხლი[3] ტერმინ „მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს“ ფართოდ განმარტავს, რაც მოიცავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, საჯარო დაწესებულებას, სააგენტოს ან სხვა დაწესებულებას, რომელიც უშუალოდ ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს.

„მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციაში“ მეოთხე მუხლის (მუხლი 4(7)) ფართო განმარტება, რომელიც იურიდიულ პირებს მოიცავს, იმავე მიზანს ემსახურება, რასაც „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“, კერძოდ, მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებების მაღალ დონეზე დაცვას (იხილეთ გადაწყვეტილებები საქმეებზე: 2019 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება, *Fashion ID*, C-40/17, EU:C:2019:629, მე-6 პარაგრაფი, და 2022 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება, *Meta Platforms Ireland*, C-319/20, EU:C:2022:322, 73-ე პარაგრაფი, აგრეთვე, ამ საქმეებში მითითებული სასამართლო პრაქტიკა).

ამასთან, არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთა თანახმად, კერძო პირი მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირად იქნა ცნობილი, ვინაიდან იგი გავლენას ახდენდა მონაცემთა დამუშავებაზე. ასევე, განსაზღვრავდა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს. (იხილეთ 2018 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება *Jehovan todistajat*, C-25/17, EU:C:2018:551, 68-ე პარაგრაფი).

წინამდებარე მსჯელობიდან გამომდინარე, **„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“ (მუხლი 4(7)) პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში არ განასხვავებს**

[2] „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ პრეამბულა (74).

[3] „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“ მუხლი 4(7).

იურიდიულ და ფიზიკურ პირს. აქ იგულისხმება, რომ პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირს იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი უშუალოდ ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს.

შესაბამისად, „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ თანახმად (მუხლი 83(7)), საჯარო სამსახურებისა და ორგანოების შესახებ მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, ნებისმიერ პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა - როგორც კერძო, ასევე იურიდიულ პირს, საჯარო სტრუქტურას, მომსახურების გამწევ ან სხვა პირს, რომელიც პასუხისმგებელია, მათ შორის, „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ დარღვევაზე (იგულისხმება კონკრეტულად შემდეგ მუხლით გათვალისწინებული დარღვევა 83(4)- (6)).

რაც შეეხება იურიდიულ პირებს, ისინი პასუხისმგებლები არიან არა მხოლოდ კანონდარღვევებისათვის, რომლებიც მათმა წარმომადგენლებმა ჩაიდინეს, მაგალითად, დირექტორებმა ან მენეჯერებმა, არამედ ნებისმიერ პირის მიერ ჩადენილ კანონდარღვევაზე, რომელიც მოქმედებდა იურიდიული პირის სახელით.

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 83-ე მუხლის მიერ განსაზღვრული **ადმინისტრაციული ჯარიმები კანონდარღვევებისათვის უშუალოდ იურიდიულ პირებს უნდა დაეკისროთ (არ არის საჭირო დადგინდეს კონკრეტულად რომელიმე ფიზიკური პირის მიერ ჩადენილი კანონდარღვევის ფაქტი ან მისი დეტალები), თუ ისინი მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირებისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ.**

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 58-ე მუხლი[4] დეტალურად აღწერს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების მაკორექტირებელ უფლებამოსილებს ისე, რომ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობას არ ეხება და არანაირ დისკრეციას არ ანიჭებს წევრ სახელმწიფოებს ამ კუთხით.

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 58-ე მუხლის მიხედვით,[5] კანონდარღვევის დამტკიცების შემთხვევაში ჯარიმა დაეკისრება მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, რომელიც შეიძლება იყოს იურიდიული და ფიზიკური პირი. ადმინისტრაციული ჯარიმების დაკისრების დროს საზედამხედველო ორგანოებისათვის ადმინისტრაციული ჯარიმების დაკისრებასთან დაკავშირებული მითითებები დეტალურად არის მოცემული „მონაცემთა დაცვის

[4] „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“, მუხლი 58(2).

[5] „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“, მუხლი 58(2)(ი).

ძირითადი რეგულაციის“ 83(1)-83(6) მუხლებში, რაც წევრ სახელმწიფოებს არ უტოვებს დისკრეციის შესაძლებლობას ამ კონკრეტულ თემატიკაზე. იგულისხმება, რომ „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მიხედვით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება, შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირი და საზედამხედველო ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის ამ ინტერპრეტაციით და არა ეროვნული კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული სხვა კრიტერიუმებით.

წინამდებარე მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მუხლების (მუხლი 4(7); მუხლი 83 და მუხლი 58(2)(ი)), თანახმად, **ადმინისტრაციული ჯარიმა 83-ე მუხლით განსაზღვრული კანონდარღვევისათვის შესაძლოა დაეკისროს იურიდიულ პირსაც, როდესაც იგი მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირია.**

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ არცერთი პუნქტი არ იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას იმის შესახებ, რომ **იურიდიული პირის დაჯარიმებამდე უნდა დადგინდეს, რომ კანონდარღვევა ჩაიდინა იდენტიფიცირებადმა ფიზიკურმა პირმა.**

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 58(4) და 83(8) მუხლებით, ასევე რეგულაციის პრეამბულის 129-ე პუნქტით ნათელია, რომ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებისას ეროვნული და ევროკავშირის სამართლით განსაზღვრული პროცედურული დაცვის მექანიზმებით სარგებლობენ, მათ შორის, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებებითა და სამართლიანი სასამართლოთი.

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“ წევრ ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას, დაადგინონ ჯარიმების დაკისრების პროცედურა და შესაბამისი კრიტერიუმები, რომლებითაც მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები ხელმძღვანელობენ ჯარიმების დაკისრებისას. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ საზედამხედველო ორგანოებს აქვთ უფლებამოსილება, შეიმუშაონ დამატებითი კრიტერიუმები, რომლებიც არ ეფუძნება “GDPR”-ის 83(1)-83(6) მუხლებს. ამდენად, დისკრეცია დამატებითი კრიტერიუმების შემუშავების საკითხზე მხოლოდ ევროკავშირის სამართლის და არა ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივაა.

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მიზანია მონაცემთა სუბიექტების დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა ევროკავშირის მასშტაბით, რის გამოც მნიშვნელოვანია მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის ერთგვაროვანი

ინტერპრეტაცია. აღნიშნული განმტკიცებულია „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ პრეამბულის მე-11 და 129-ე პუნქტებში, რომლებშიც რეგულაციის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის მნიშვნელობა საზედამხედველო ორგანოების მიერ ისევეა ხაზგასმული, როგორც ერთნაირი კანონდარღვევის პასუხად საზედამხედველო ორგანოების მიერ დაწესებული სანქციების ერთგვაროვნება.

„მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციით“ წევრი ქვეყნებისთვის დამატებითი/ინდივიდუალური კრიტერიუმის დაწესების უფლებამოსილების მიცემის შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც იურიდიული პირის კანონდარღვევისათვის დაჯარიმებამდე საჭირო იქნებოდა დამტკიცებულიყო, რომ კანონი იდენტიფიცირებადმა ფიზიკურმა პირმა დაარღვია, ხელი შეეშლებოდა „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მიზნების განხორციელებას (მაგ., კანონის ერთგვაროვან ინტერპრეტაციას, სხვადასხვა ქვეყნის მიერ განსხვავებული კრიტერიუმის განსაზღვრის გამო).

„ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების“ (“TFEU”) 101-ე და 102-ე პუნქტების განმარტებები არ გავრცელდება დასაჯარიმებელი პირის განმარტებაზე. გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ ვის და რა პირობებით შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული ჯარიმა „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 83-ე მუხლით განსაზღვრული კანონდარღვევისათვის, დაეფუძნება „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 58-ე და 81-ე მუხლებს.[6]

„ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების“ თანახმად (101 და 102 პუნქტის განმარტებებით), ეკონომიკური ერთეული შედგება სხვადასხვა პირისგან (ფიზიკური და იურიდიული პირები). როდესაც დასაჯარიმებელი პირი „ეკონომიკური ერთეულია“ ან „ერთეულის“ ნაწილია, ჯარიმის მაქსიმალური რაოდენობა უნდა განისაზღვროს საანგარიშო წლის მთლიანი წლიური ბრუნვის პროცენტის გაანგარიშების საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, ჯარიმა არ განისაზღვრება მხოლოდ “DW”-ის შვილობილი კომპანიების წლიური ბრუნვიდან პროცენტის გაანგარიშების გზით, არამედ “DW”-ის სრული ბრუნვიდან პროცენტის გაანგარიშებით, ჰოლდინგების მომსახურების გამწევი კომპანიების ჩათვლით.

[6] „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მუხლები: 58(2) და 83(1) - 83 (6).

სასამართლოს დასკვნა პირველ საკითხთან დაკავშირებით:

პირველ კითხვასთან დაკავშირებით სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ დებულებები არ აძლევს საშუალებას წევრ სახელმწიფოებს, დაასკვნან, რომ იურიდიული პირის დაჯარიმებისათვის აუცილებელია დაჯარიმებამდე დადგინდეს ფიზიკური პირის ბრალეულობა კანონდარღვევის ჩადენისთვის.

მეორე საკითხი

მეორე საკითხი, რომელზეც სასამართლომ იმსჯელა, ეხება ბრალის დადგენას, აგრეთვე – განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენილ კანონდარღვევებს.

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების დაჯარიმებისათვის “GDPR”-ის 83-ე მუხლის საფუძველზე, აუცილებელია დადგინდეს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ბრალი („fault-based liability”).

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ გადაწყვიტა, რომ “GDPR”-ის 83-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ჯარიმების დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დადასტურდება მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ განზრახ თუ გაუფრთხილებლობით ჩადენილი კანონდარღვევა.

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 83(2)(ბ) მუხლი ისევე, როგორც 83-ე მუხლი, ერთად უნდა იქნეს წაკითხული. წინამდებარე მუხლები აღწერს განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენილ კანონდარღვევებს. **ორივე შემთხვევაში კანონდამრღვევ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს (იგულისხმება იურიდიული და ფიზიკური პირი) დაეკისრება პასუხისმგებლობა იმის მიუხედავად, კანონდარღვევა ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით.** (იხილეთ მსგავსი გადაწყვეტილებები — 2013 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება, *Schenker & Co. and Others*, C-681/11, EU:C:2013:404, 37-ე პარაგრაფი; აგრეთვე, 2021 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, *Lundbeck* v *Commission*, C-591/16 P, EU:C:2021:243, 156-ე პარაგრაფი; და 2021 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, *Arrow Group and Arrow Generics* v *Commission*, C-601/16 P, EU:C:2021:244, 97-ე პარაგრაფი).

სასამართლოს განმარტებით, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ბრალეულობას არ გამორიცხავს ფაქტი, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის

პასუხისმგებელმა პირმა არ იცოდა და არ ჰქონდა ინფორმაცია მის მიერ ჩადენილი კანონდარღვევის შესახებ.

((იხილეთ 1983 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება – *Musique Diffusion française and Others* v *Commission*, 100/80 to 103/80, EU:C:1983:158, პარაგრაფი 97; და 2017 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება – *Tudapetrol Mineralölerzeugnisse Nils Hansen* v *Commission*, C-94/15 P, EU:C:2017:124, პარაგრაფი 28).

დასკვნა

წინამდებარე გადაწყვეტილება, საქმის პირველ და მეორე ნაწილზე მსჯელობისას, ხაზს უსვამს „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მიზანს - "GDPR" ევროკავშირის მასშტაბით ერთგვაროვნად იქნეს განმარტებული. აღნიშნული ეხება "GDPR"-ის საფუძველზე საზედამხედველო ორგანოების მიერ ჯარიმების დაწესების საკითხს შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებით, "GDPR"-ის საფუძველზე შესაძლოა დაჯარიმდეს უშუალოდ იურიდიული პირი, თუ მას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სტატუსი აქვს. კანონდარღვევის ჩამდენი ფიზიკური პირის იდენტიფიცირება სავალდებულო არ არის.

რაც შეეხება იურიდიულ პირებს, ისინი პასუხისმგებლები არიან არა მხოლოდ კანონდარღვევებისათვის, რომლებიც მათი წარმომადგენლების მიერაა ჩადენილი, მაგალითად, დირექტორების ან მენეჯერების, არამედ ნებისმიერი პირის მიერ ჩადენილ კანონდარღვევაზე, რომელიც მოქმედებდა იურიდიული პირის სახელით.

საზედამხედველო ორგანოებისათვის ადმინისტრაციული ჯარიმების დაკისრებასთან დაკავშირებით მითითებები დეტალურად არის მოცემული „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 83(1)-83(6) მუხლებში, რაც წევრ სახელმწიფოებს ამ კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით დისკრეციის საშუალებას არ უტოვებს. „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მიხედვით, იგულისხმება, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება, შეიძლება იყოს იურიდიული ან ფიზიკური პირი და ამ კუთხით საზედამხედველო ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ აღნიშნული ინტერპრეტაციით და არა ეროვნული კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული სხვა კრიტერიუმებით.

წინამდებარე მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მუხლების (მუხლი 4(7); მუხლი 83, და მუხლი 58(2)(ი)) თანახმად, ადმინისტრაციული ჯარიმა 83-ე მუხლით განსაზღვრული კანონდარღვევისათვის შესაძლოა დაეკისროს იურიდიულ პირსაც, როდესაც იგი მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირია.

„ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების“ თანახმად (101 და 102 პუნქტის განმარტებებით), ეკონომიკური ერთეული შედგება ფიზიკური და იურიდიული პირისგან. როდესაც დასაჯარიმებელი პირი „ეკონომიკური ერთეულია“ ან „ერთეულის“ ნაწილია, ჯარიმის მაქსიმალური რაოდენობა უნდა განისაზღვროს საანგარიშო წლის მთლიანი წლიური ბრუნვის პროცენტის გაანგარიშების საფუძველზე.

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების დაჯარიმებისათვის “GDPR”-ის 83-ე მუხლის საფუძველზე, აუცილებელია, დადგინდეს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ბრალი (“fault-based liability”), ხოლო კანონდამრღვევ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს (იგულისხმება იურიდიული და ფიზიკური პირი) დაეკისრება პასუხისმგებლობა იმის მიუხედავად, კანონდარღვევა ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით.